

საუნივერსიტეტო აკრედიტაციის პროგრამები

ალფრედ ჟან-მარი ბორგონოვო, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი
ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრი

21 ივნისი, 2017 - თბილისი, საქართველო
საგანმანათლებლო პრაქტიკის ფორუმი

CFRR >>

**Centre for Financial
Reporting Reform**



Strengthening Auditing and Reporting in
the Countries of the Eastern Partnership

STAREP is co-funded by:

 **Austrian
Development Cooperation**



 **Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra**



EU4Business

 **LE GOUVERNEMENT
DU GRAND-DUCHÉ DE LUXEMBOURG
Ministère des Finances**

- » პროფესიული კომპეტენციის კონცეფციის განხილვა და კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენება
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დასაბუთება
- » გარკვევა თუ როგორია აკრედიტაციის ტიპური პროგრამები
- » აკრედიტაციის პროგრამების შემუშავების აღწერა
- » აკრედიტაციის ტიპური პროცესის შესწავლა
- » აკრედიტაციის პროგრამის მიმდინარე ტექნიკური მომსახურების და მდგრადობის აღწერა





- I. უნივერსიტეტის აკრედიტაციის მაგალითი
- II. აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა
- III. აკრედიტაციის პროგრამის შემუშავება
- IV. აკრედიტაციის პროცესი
- V. აკრედიტაციის პროგრამის ხელშეწყობა



I. უნივერსიტეტის აკრედიტაციის მაგალითი

უნივერსიტეტის აკრედიტაციის მაგალითი

რას წარმოადგენს აკრედიტაციის პროგრამა?

- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია მუშაობს ერთ ან რამდენიმე უნივერსიტეტთან (ან მესამე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან)
- » უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ საგნებს და სასწავლო გარემოს, რომელიც მისაღებია პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციისთვის
- » სტუდენტები, რომლებიც გაივლიან შესაბამის საუნივერსიტეტო კურსს მიიღებენ აღიარებას და შეღავათს პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციისგან
- » შეღავათი შეიძლება იყოს სწავლის შედეგების აღიარება, გამოცდისგან გათავისუფლება, პროფესიულ პროგრამაში მაღალ დონეზე ჩარიცხვა და ა.შ.

პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის პასუხისმგებლობები

- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია პასუხისმგებელია წევრთა კომპეტენტურობის უზრუნველყოფაზე:
 - » საზოგადოების დასაცავად
 - » პროფესიის რეპუტაციის დასაცავად და საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად
 - » ეროვნული სტანდარტების და წესების დაცვის მიზნით
 - » საერთაშორისო მოთხოვნების და მოლოდინების შესასრულებლად

ცოდნა თუ კომპეტენტურობა?


ცოდნა: “იცით თუ არა როგორ...?”

» ცოდნა აუცილებელია მაგრამ არასაკმარისი - ჩვენ შეგვიძლია “ვიცოდეთ თუ როგორ” გავაკეთოთ რამე, მაგრამ არ შეგვეძლოს მისი თანმიმდევრულად განხორციელება რეალურ სიტუაციაში



პროფესიული კომპეტენცია: “შეგიძლიათ...?”

» განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად როლის შესრულების უნარი ტექნიკური ცოდნის და პროფესიული უნარების, ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების ინტეგრაციით



პროფესიული კომპეტენცია




რატომ არის საჭირო პროფესიულ კომპეტენციაზე
ფოკუსირება?

- » პროფესიონალი ბუღალტრების განვითარების და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში საკმარისი არ არის მათ იცოდნენ მხოლოდ ის თუ რას მოითხოვს სტანდარტი.
- » პროფესიონალებს უნდა შეეძლოთ საკუთარი როლების კომპეტენტურად შესრულება საზოგადოების, კლიენტების და დამსაქმებლებისთვის მოსალოდნელ დონეზე.


კომპეტენციის ჩარჩო

» კომპეტენციის ჩარჩო არის კომპეტენციის განვითარების, შეფასების და შენარჩუნების უზრუნველყოფის საფუძველი:



მხარს უჭერს პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის კვალიფიკაციამდელ და კვალიფიკაციის შემდგომ შიდა პროგრამებს

კომპეტენციის ჩარჩოები



კომპეტენციის ჩარჩოები

ტექნიკური კომპეტენციები

კომპეტენციის სფეროები

- ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- მენეჯერული აღრიცხვა
- ფინანსები და ფინანსური მართვა
- სტრატეგია და მართვა
- დაბეგვრა
- ბიზნესსამართალი და რეგულირება

არატექნიკური ("გავრცელებული") კომპეტენციები

კომპეტენციის სფეროები


- კომუნიკაცია
- გუნდური მუშობა და ლიდერობა
- პრობლემების გადაწყვეტა
- ინტეგრაციული მიდგომა
- პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა
- ეთიკა და ნდობა



კომპეტენციის ჩარჩოები

ტექნიკური
კომპეტენციები

მაგალითი
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება



ძირითადი კომპეტენციები	პროფესიული კვალიფიკაციის დონე
აფასებს და იძლევა კონსულტაციას ორგანიზაციის ანგარიშგების საჭიროებების და დაკავშირებული რწმუნების მოთხოვნების შესახებ	საშუალო
განსაზღვრავს გააფორმოს თუ არა გარიგება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად	საშუალო
განსაზღვრავს გარიგების მასშტაბს	საშუალო
აფასებს რისკებს და ბიზნესსაკითხებს გარიგებაზე მათი გავლენის განსასაზღვრად	საშუალო
შეიმუშავებს აუდიტის გეგმას	საშუალო
შეიმუშავებს და /ან ასრულებს აუდიტის შესაბამის პროცედურებს	საშუალო
აფასებს შიდა კონტროლს და იძლევა მასთან დაკავშირებით კონსულტაციას	საშუალო

... და ა.შ.

თემების ნიმუშები: აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება

ძირითადი კომპეტენციები:

3.2 განსაზღვრავს გააფორმოს თუ არა გარიგება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად

K3.2.1 აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნები გარე გარიგებებისთვის
(დამოუკიდებლობის სტანდარტები გარე აუდიტორებისთვის)

K3.2.2 კლიენტთან ურთიერთობის დამყარება, მასშტაბის შეზღუდვის და ინტერესთა
კონფლიქტის გათვალისწინებით

K3.2.3 გარიგების მართვა რესურსების განაწილების ჩათვლით


პროფესიული კომპეტენცია

უნივერსიტეტების (და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების) როლი

- » საუნივერსიტეტო განათლება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების საფუძველს - კომპეტენცია აქედან იწყება
- » უნივერსიტეტებში სტუდენტები იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარ კარიერასთან დაკავშირებით და შეიძლება აირჩიონ სამომავლო პროფესია.
- » მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტები მუდმივად აწვდიდნენ სტუდენტებს ინფორმაციას პროფესიული მოთხოვნების და შესაძლებლობების შესახებ.



პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის და უნივერსიტეტის თანამშრომლობა



თანამშრომლობის საჭიროება

- » არცერთ უნივერსიტეტს ან პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას არ აქვს ჭარბი დაფინანსება!
- » რესურსები შეზღუდულია, ამდენად პარტნიორობა უნივერსიტეტებს და პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს შორის შეიძლება ორმხრივად სასარგებლო იყოს.
- » თუ სტუდენტი გაივლის სათანადო კურსს მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტში, რატომ უნდა გაიაროს იგივე კურსი ან ჩააბაროს გამოცდა იმავე საგანში პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად?
- » თანამშრომლობა ხელს უწყობს სიდრმისეული ურთიერთობების დამყარებას უნივერსიტეტებს და პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს შორის – ეს სასარგებლოა ორივე მხარისთვის.

თანამშრომლობის სარგებელი ყველა დაინტერესებული მხარისთვის

როცა სტუდენტების მიერ უკვე მიღებული განათლების აღიარება ხდება:

- » საზოგადოება სწრაფად იღებს უფრო მეტად კვალიფიციურ პროფესიონალებს
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია იზიდავს უფრო მეტად კვალიფიციურ კანდიდატებს და გარდაქმნის მათ წევრებად
- » უნივერსიტეტები რომლებიც “აკრედიტებულია პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის მიერ” იზიდავენ უფრო მაღალი ხარისხის სტუდენტებს, რომელთაც სურთ პროფესიული კარიერის გაგრძელება, და უპირატესობას ანიჭებენ გამარტივებულ მიდგომას
- » სტუდენტები კვალიფიკაციას იღებენ უფრო სწრაფად შედარებით ნაკლები დუბლირებით



II. აკრედიტაციის პროგრამები – ტიპური სტრუქტურა


აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა

აკრედიტაციის მოთხოვნები

- » აკრედიტაცია წარმოადგენს პარტნიორობას პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას და უნივერსიტეტს შორის
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს:
 1. უნივერსიტეტის მიერ სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ადეკვატურია კომპეტენციის განვითარებისთვის
 2. განსახილველი კონკრეტული კურსები ასწავლის და ამოწმებს მასალის მოსალოდნელ მასშტაბს სათანადო სიღრმეზე.

აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა

ვერიფიკაციის ორი დონე:



აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა

1-ლი დონე : სკოლის/ფაკულტეტის/პროგრამის ფართო აკრედიტაცია

- » შესაფასებელი ერთეული შეიძლება იყოს მთლიანად უნივერსიტეტი, ან ფაკულტეტი, ან ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამა
- » ერთეულის მიუხედავად ფართო აკრედიტაცია მოითხოვს რომ წარმომადგენლებს შეეძლოთ შემდეგის დადასტურება:
 - » ინსტიტუციური ხარისხი
 - » ბუღალტრული/ აუდიტორული პროფესიისადმი ერთგულება
 - » განათლების მესამე საფეხურზე საუკეთესო პრაქტიკისადმი ერთგულება



აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა

მე-2 დონე : კონკრეტული კურსების „ეკვივალენტურად“ განხილვა


- » ერთი ან რამდენიმე სასწავლო კურსი განიხილება და მიიჩნევა პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის გარკვეული მოთხოვნების „ეკვივალენტურად“ .
- » ამ სასწავლო კურსებს შეიძლება მოჰყვეს სწავლის შედეგის პროფესიულ პროგრამაში გათვალისწინება, გამოცდისგან გათავისუფლება ან სხვა აღიარება.
- » შეიძლება მოხდეს გათავისუფლება ცალკეული სასწავლო კურსის მიხედვით ან ერთიანად (მაგალითად კონკრეტული საფეხურის დასრულების საფუძველზე)



აკრედიტაციის პროგრამები - ტიპური სტრუქტურა

2-დონიანი მიდგომის სარგებელი

- » მაღალეფექტური შეფასების პროცესი
- » ხელს უწყობს ინსტიტუციური ხარისხის თანმიმდევრულობას პროგრამის და კურსის სტრუქტურაში განსხვავებების გათვალისწინებით
- » განაპირობებს თანამშრომლობის გაძლიერებას პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას და უნივერსიტეტებს შორის.



აკრედიტაციის პროგრამები



მკაფიო მოთხოვნების და ინსტრუმენტების გამოყენების საჭიროება შეფასებისთვის :

- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს სჭირდებათ საუნივერსიტეტო კურსების შეფასების ეფექტიანი მეთოდი და პროგრამები პროფესიასთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად
- » უნივერსიტეტებმა უნდა იცოდნენ თუ რას მოელიან მათგან იმისათვის რომ მიიღონ გადაწყვეტილებები სასწავლო კურსების/პროგრამების დასაგეგმად, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ადგილობრივი პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების პროფესიულ პროგრამებთან.

აკრედიტაციის პროგრამა უზრუნველყოფს ამ სტრუქტურას ორივე მხარისთვის გონივრული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.



III. აკრედიტაციის პროგრამის შემუშავება



შემუშავების ეტაპები:

1. მართვის სტრუქტურის განსაზღვრა (საბჭოს მიერ უფლებამოსილი კომიტეტი, ოპერაციული სამუშაო გუნდი, ოფიციალური მანდატი და ა.შ.) საუნივერსიტეტო პარტნიორობის მხარდასაჭერად და ხელშესაწყობად
2. განმარტება თუ პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის რომელი მოთხოვნებისგან “გათავისუფლება” შეიძლება გავლილი საუნივერსიტეტო პროგრამის საფუძველზე და რომლისგან არა
3. მოთხოვნების შემუშავება ფართო, საუნივერსიტეტო დონის და კურსისთვის სპეციფიკური მოთხოვნების ჩათვლით



განვითარების ეტაპები (გაგრძელება):

4. პროცედურული დოკუმენტების მომზადება, მიმდევრობის, ვადების, როლების და პასუხისმგებლობების და ა.შ. განსაზღვრა
5. მოთხოვნების მიწოდება მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტებისთვის მათგან უკუკავშირის მისაღებად;
6. მოთხოვნების საბოლოო სახით მომზადება
7. აპლიკაციის სტანდარტიზებული შაბლონების შემუშავება თანმიმდევრულობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად
8. უზრუნველყოფა რომ მომზადებული გუნდი მზად იყოს უნივერსიტეტების კოორდინაციისთვის, გადაწყვეტილებების დროულად მისაღებად და კითხვებზე პასუხის გასაცემად.

აკრედიტაციის პროგრამის შემუშავება

რჩევები შემუშავებასთან დაკავშირებით:

- » აკრედიტაცია ეკისრება პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას რომელსაც, აქვს მკაფიოდ განსაზღვრული წევრობის/სერტიფიცირებისკენ მიმავალი გზა
- » სპეციფიკური სტრუქტურა დამოკიდებული იქნება დონეზე რომლითაც პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია დამოკიდებულია საუნივერსიტეტო განათლებაზე:
 - » აქვს თუ არა პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას საკუთარი პროფესიული პროგრამა თუ ის მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდებს ატარებს?
 - » არსებობს თუ არა სპეციალური საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც ფკუსირებულია ბუღალტრულ აღრიცხვაზე/აუდიტზე თუ ეს საგნები სხვა პროგრამის ფარგლებში ისწავლება (მაგ. ეკონომიკის პროგრამა).

აკრედიტაციის პროგრამის შემუშავება

რჩევები შემუშავებასთან დაკავშირებით, გაგრძელება:

- » პროგრამების შემუშავება ხშირად ხდება გამოცდილ სწავლულებთან ერთად, რომლებსაც შემუშავებული აქვთ აკრედიტაციის პროგრამები საკუთარი უნივერსიტეტებისთვის.
- » განიხილეთ პროგრამის პილოტირება ერთ ან ორ ძლიერ უნივერსიტეტთან სრულ დანერგვამდე
- » ყურადღება გამოიჩინეთ ინტერესთა კონფლიქტის მიმართ (შეიძლება შეუძლებელი იყოს მისი თავიდან აცილება) - მართეთ ზედამხედველობის და გუნდების გამოყენებით, საჭიროებისამებრ დამოუკიდებელ ექსპერტთა საშუალებით.

1-ლი დონე : აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები

1. საუნივერსიტეტო

აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები ტიპურად მოიცავს:

1. პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციასთან პარტნიორობის ვალდებულებას მომავალი პროფესიონალი ბუღალტრების/აუდიტორების განათლების მაღალი ხარისხის მისაღწევად
2. აკადემიური მთლიანობის პოლიტიკა – ეთიკის პრინციპების, პოლიტიკის და პროცედურების (განსაკუთრებით პლაგიატთან, თაღლითობასთან და მოტყუებასთან დაკავშირებით) თანმიმდევრული აღსრულება
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა– პროგრამის და სასწავლო კურსების მუდმივი შეფასების და განახლების პროცესები (შინაარსი, მასალები, და სწავლების და შეფასების მეთოდები); შეფასების და შედეგების ადეკვატური უსაფრთხოება.

1-ლი დონე : აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები

აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები ტიპურად მოიცავს:

1. საუნივერსიტეტო

4. ფაკულტეტის კვალიფიკაციას და გამოცდილებას – რაც იზომება ფაკულტეტის კვალიფიკაციებით და გამოცდილებით (პროფესიონალი ბუღალტრების/აუდიტორების და უვადო პროფესორებით/დოქტორებით)
5. ფაკულტეტის საკმარის ჩართულობას – ფაკულტეტის საკმარისი რესურსები იმის უზრუნველსაყოფად რომ „ეკვივალენტურად მიჩნეული“ კურსები შეთავაზებულ იქნეს რეგულარულად; ფაკულტეტის უშუალო ჩართულობა პროგრამიდან სტრატეგიასთან, კურსის მომზადებასთან და ზედამხედველობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

1-ლი დონე: აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები

აკრედიტაციის ფართო მოთხოვნები ტიპურად მოიცავს:

1. საუნივერსიტეტო დონე

6. შესაფერის სასწავლო გარემოს – რაც გულისხმობს ინტენსიური, მასტიმულირებელი, მხარდამჭერი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას და მოიცავს თანასწორ მოპყრობას სტუდენტების მიმართ და ა.შ.

ფართო აკრედიტაციისთვის შესაძლებელია არსებობდეს შესაძლებლობები უკვე მიღწეული აღიარების ან აკრედიტაციის სხვა ტიპების გამოსაყენებლად.

მე-2 დონე: კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კურსის „ეკვივალენტურად“ მიჩნევა ტიპურად მოითხოვს :

1. კონკრეტული შინაარსის დაფარვას:
 - » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის თემატური მოთხოვნები ცოდნასთან დაკავშირებით ადეკვატურად უნდა იქნეს მოცული ერთი ან რამდენიმე საუნივერსიტეტო კურსით.
 - » “ადეკვატური” დაფარვა ზოგადად არის $\geq 80\%$ ან 85%
 - » შესაძლოა არსებობდეს შეზღუდვა კურსების რაოდენობასთან დაკავშირებით რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სასწავლო თემების (ან კონკრეტული პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის კურსის ან გამოცდის) დასაფარად.

2. კონკრეტული კურსის დონე

მე-2 დონე : კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კონკრეტული კურსის "ეკვივალენტურად" მიჩნევა ტიპურად მოითხოვს:

2. სწავლების და სწავლის განსხვავებულ მეთოდოლოგიებს:
 - » სათანადო და შესაფერის სასწავლო მასალებს რომლებიც ასახავს განათლების მაღალ სტანდარტებს
 - » სასწავლო ღონისძიებებს რომლებიც უზრუნველყოფს კანდიდატების ჩართულობას აქტიურ პრაქტიკულ და რეფლექსიურ სასწავლო პროცესში, კომპეტენციას განვითარებისთვის (პრაქტიკული გამოყენების საშუალებით) თეორიულ ცოდნასთან ერთად.




მე-2 დონე : კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კონკრეტული კურსის "ეკვივალენტურად" მიჩნევა ტიპურად მოითხოვს :

2. სწავლების და სწავლის განსხვავებულ მეთოდოლოგიებს, გაგრძელება:

- » მტკიცე უკუკავშირის შესაძლებლობებს როგორც შესწავლილი მასალის განმტკიცების საშუალებას
- » შესაძლებლობებს ტექნიკურ სფეროებს შორის ინტეგრაციისთვის
- » შესაძლებლობებს პროფესიული უნარების, ფასეულობები და დამოკიდებულებების შემუშავების და დემონსტრირებისთვის

2. კონკრეტული კურსის



მე-2 დონე : კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კონკრეტული კურსის "ეკვივალენტურად" მიჩნევა ტიპურად მოითხოვს :

3. შეფასების მტკიცე მეთოდოლოგიას:

- » საჭიროა სასწავლო პროცესის ფორმალიზებული შეფასება
- » შეფასების მეთოდები:
 - » ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტების სწავლას
 - » უნდა მოიცავდეს როგორც მიმდინარე ისე შემაჯამებელ შეფასებებს
 - » ინფორმაციას უნდა აწვდიდეს სტუდენტებს მიღწეული პროგრესის შესახებ და
 - » სტუდენტებს აძლევდეს საკუთარი განვითარების შეფასების შესაძლებლობას

2. კონკრეტული კურსის

მე-2 დონე : კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კონკრეტული კურსის "ეკვივალენტურად" მიჩნევა ტიპურად მოითხოვს :

3. შეფასების მტკიცე მეთოდოლოგიას, გაგრძელება:

- » შეფასებას შედეგად უნდა მოჰყვეს შემოწმებადი მტკიცებულება, რომელიც აჩვენებს, რომ სტუდენტებმა აითვისეს აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- » გამოცდის მინიმალური ხანგრძლივობა (მაგ., 3 სთ), წონა (მაგ. $\geq 50\%$ საბოლოო ნიშანზე), და/ან ფორმატი (მაგ., წერილობითი და არა ზეპირი, მაგალითებზე დამყარებული, შეზღუდული მრავალპასუხიანი კითხვები)

2. კონკრეტული კურსის დონე



მე-2 დონე : კურსების სავარაუდო ეკვივალენტურობა

კონკრეტული კურსის "ეკვივალენტურად" მიჩნევა ტიპურად მოითხოვს :

4. მინიმალურ ეფექტიანობას:

- » უნდა განისაზღვროს მინიმალური გამსვლელი ნიშანი (მაგ., გამსვლელი ქულა 60%)
- » სტუდენტები მიიღებენ სწავლის შედეგის აღიარებას ან გათავისუფლდებიან გამოცდისგან თუ მიღებული ექნებათ მინიმალური გამსვლელი ქულა
- » “ერთიანი აღიარების” მიდგომის შემთხვევაში შესაძლოა განსაზღვრული იყოს მინიმალური საშუალო და არა მოთხოვნები ცალკეული კურსების მიხედვით.

აკრედიტაციის პროგრამები – ლოგისტიკური დეტალები

აკრედიტაციის პროგრამა უნდა ეხებოდეს ისეთ დეტალებს როგორებიცაა:

- » თუ ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტულ ხარჯებზე (დოკუმენტის მომზადება, ადგილზე ვიზიტი და ა.შ.)?
- » რა დოკუმენტები უნდა იქნეს დაცული და რამდენი ხნით (სტუდენტის ჩანაწერები, გასწორებული საგამოცდო ნამუშევრები და ა.შ.)?
- » რა სიხშირით უნდა განხორციელდეს შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდეგ (ყოველწლიურად, ყოველ სამ თვეში ერთხელ, გამონაკლისის საფუძველზე და ა.შ.)?
- » ფორმალიზებულ შეფასებებს შორის რა ცვლილებები უნდა იქნეს შეტყობინებული პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციისთვის (სასწავლო კურსის სილაბუსის ცვლილება, გამოცდისგან გათავისუფლების ფორმატი და ა.შ.)?

აკრედიტაციის პროგრამები – შემდგომი ლოგისტიკური დეტალები

აკრედიტაციის პროგრამა უნდა ეხებოდეს ისეთ დეტალებს როგორებიცაა:

- » რა რესურსები უნდა იქნეს მოწოდებული პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის მიერ (მაგალითების ნიმუშები, მოწვეული სტუმრის ლექცია და ა.შ.)?
- » რა ვადაში იძლევა პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია აპლიკაციების დამუშავების გარანტიას (30 დღე? 3 თვე?)







IV. აკრედიტაციის პროცესი

აკრედიტაციის პროცესი

1. აკრედიტაცია საუნივერსიტეტო დონეზე
2. სპეციფიკური კურსის ეკვივალენტურობა
3. სტუდენტების სწავლის შედეგის აღიარება და გამოცდისგან გათავისუფლება




1-ლი დონე : აკრედიტაცია საუნივერსიტეტო დონეზე



მონიტორინგი და განახლება

მე-2 დონე : „ეკვივალენტური“ კურსების განსაზღვრა



აკრედიტაციის პროცესი

წარმატება მოითხოვს ნამდვილ პარტნიორულ მიდგომას:

- » ორივე მხარე სარგებელს იღებს ერთმანეთთან პარტნიორობით
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის მიერ უნივერსიტეტის შეფასება შეიძლება სენსიტიური იყოს - გახსოვდეთ რომ პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია შეფასებას ახორციელებს პროფესიის პოზიციიდან გამომდინარე და არა მხოლოდ აკადემიური ხარისხის საფუძველზე
- » უნივერსიტეტები არ არიან ვალდებული შეასრულონ პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის მოთხოვნები და შეუძლიათ არ აირჩიონ მათთან პარტნიორობა თუ ვერ ხედავენ სარგებელს სასწავლებლისთვის (პრესტიჟი, საუკეთესო სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობა და ა.შ.)



მაგალითი – პოლონეთის აკრედიტაციის პროგრამის შემუშავება




მსოფლიო ბანკის პროექტი პოლონეთში



აუდიტორთა პალატა - Krajowa Izba Bieglych Residentow (KIBR)

მოთხოვნები სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის:





CFRR პროექტი: საბუღალტრო და აუდიტორული განათლების გაძლიერება

» ტექნიკური დავალება:

» მაგალითებზე დამყარებული ინტეგრირებული გამოცდის შემუშავება, რომელიც იქნება აუდიტორების საკვალიფიკაციო გამოცდა

» უნივერსიტეტების აკრედიტაციის პროცესის შემუშავება და გათავისუფლება ამჟამინდელი 10 წინასწარი გამოცდისგან

» შედეგების შესაბამისობა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ბუღალტრებისთვის შემუშავებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IESs)

მსოფლიო ბანკის პროექტი პოლონეთში




- » განათლების სტანდარტებთან შესაბამისობის მხარდასაჭერად საჭირო იყო კომპეტენციის ჩარჩო, მაგრამ არ არსებობდა საკმარისი რესურსები სრული პრაქტიკული ანალიზის განსახორციელებლად.
- » მტკიცე შუალედური მიდგომის სახით შემუშავდა „სწავლის შედეგების ჩარჩო“ სხვა ავტორიტეტული ჯგუფების მუშაობის საფუძველზე;
- » „სწავლის შედეგები“ იყო ძირითადად დაუდასტურებელი ძირითადი კომპეტენციები.
- » სასწავლო თემების ჩამონათვალი უკვე მოთხოვნილი იყო რეგულაციით - რაც აღინიშნა სასწავლო შედეგების ჩარჩოში

პროგრამის ძირითადი ელემენტები

KIBR -თან პარტნიორობის ორსაფეხურიანი პროცესი

- I. საუნივერსიტეტო აკრედიტაციის გაცემის საფუძვლებია:
 - » უნივერსიტეტის საერთო ხარისხი
 - » ერთგულება აუდიტორული პროფესიის მიმართ
 - » განათლების მესამე საფეხურზე შემდეგი საუკეთესო პრაქტიკის შესრულება
- II. გამოცდისგან გათავისუფლება „ეკვივალენტურად მიჩნეული“ სასწავლო კურსებისთვის:
 - » დაახლოებით სამი საუნივერსიტეტო კურსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს 10 KIBR წინასწარი სავალდებულო გამოცდისგან გათავისუფლების მხარდასაჭერად
 - » სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორობის კანდიდატები თავისუფლდებიან გამოცდებისგან თუ ჩააბარებენ ეკვივალენტურ საუნივერსიტეტო კურსებს.



პროგრამის ძირითადი ელემენტები

პროგრამის მოთხოვნები:

I. KIBR პარტნიორად აკრედიტაცია (აკრედიტაციის სტანდარტები)	II. ეკვივალენტურობა – გამოცდისგან გათავისუფლება (გამოცდისგან გათავისუფლების სტანდარტები)
AS1 - აუდიტორული პროფესიისადმი ერთგულება	ES1 – სავალდებულო შინაარსი
AS2 – ეთიკის პოლიტიკა	ES2 – სწავლების და სწავლის მეთოდოლოგიები
AS3 – ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	ES3 – შეფასების მეთოდოლოგიები
AS4 – ფაკულტეტის კვალიფიკაცია და გამოცდილება	ES4 – საჭირო ეფექტიანობა
AS5 – ფაკულტეტის საკმარისობა	
AS6 – ფაკულტეტის საგანმანათლებლო ჩართულობა	
AS7 – სასწავლო გარემო	

როლები და პასუხისმგებლობები

უნივერსიტეტებს მოეთხოვებათ:

- » მოთხოვნების მიმართ თვითშეფასების განხორციელება
- » დოკუმენტაციის შევსება დეკანის ან კათედრის გამგის ხელმოწერით
- » საჭიროებიდან გამომდინარე ადგილზე ვიზიტების ხელშეწყობა (ძირითადად გამოიყენება როგორც 1-ლი დონე) ხელმძღვანელ პირებთან და ფაკულტეტის წევრებთან შეხვედრების ჩათვლით
- » სტანდარტების შენარჩუნება და KIBR-ის ინფორმირება ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროგრამული ცვლილების შესახებ
- » სავალდებულო აუდიტორულ პროფესიაში წამყვანი ლიდერის როლის შესრულება
- » აკრედიტაციის ხარჯების თავისი წილის დაფარვა

როლები და პასუხისმგებლობები

KIBR და მისი აკრედიტაციის და გამოცდებისგან გათავისუფლების შემფასებელი გუნდები მოწოდებულნი არიან:

- » განამტკიცონ უნივერსიტეტებთან პარტნიორობა
- » უზრუნველყონ სრულყოფილი შაბლონები აპლიკაციებისთვის
- » უზრუნველყონ დროული, ამომწურავი და მიუკერძოებელი შეფასება (2 კვირა წინასწარი შეფასებისთვის აპლიკაციის სისრულის განსასაზღვრად, 3 წელი განხილვისა და პასუხის გასაცემად)
- » სათანადოდ დაასაბუთონ გადაწყვეტილებები და რეკომენდაციებში ჩამოაყალიბონ შესაბამისი მითითებები
- » პარტნიორობის ფარგლებში დაეხმარონ უნივერსიტეტებს აკრედიტაციის და გამოცდებისგან გათავისუფლების მიღებაში



V. აკრედიტაციის პროგრამის მდგრადობა

აკრედიტაციის პროგრამის ხელშეწყობა

განხორციელების შემდეგ:

- » პროგრამა საჭიროებს მონიტორინგს და ტექნიკურ მომსახურებას
- » პროგრამა საჭიროებს განახლებას როცა მოხდება კომპეტენციის ჩარჩოს/სასწავლო თემების განახლება
- » საჭიროა საუკეთესო მიმდინარე თანამშრომლობის მიღწევა როცა პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას შეუძლია სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა რომელიც დაეხმარება პროფესორებს სტუდენტთა კომპეტენციაზე ფოკუსირებაში (მაგ. მაგალითების მიწოდება რომლებიც ინტეგრაციულია და შეიცავს პროფესიული ეთიკის ელემენტებს)

აკრედიტაციის პროგრამის ხელშეწყობა

მდგრადობა დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების მიერ მიღებულ ფასეულობაზე:

- » უნივერსიტეტის მიმდინარე ერთგულება დამოკიდებულია შემდეგის უზრუნველყოფაზე:
 - » მოთხოვნები არ იცვლება ზედმეტად ხშირად
 - » უნივერსიტეტის წვლილი მრავალმნიშვნელოვნად განიხილება
 - » მოთხოვნები ლოგიკურია და არ არის ზედმეტად გადატვირთული
 - » შეფასების პროცესი მიუკერძოებელია და უკუკავშირი კონსტრუქციული
- » საჭიროა დაბალანსდეს:
 - » აკადემიური მოქნილობა და
 - » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი სტანდარტი



აკრედიტაციის პროგრამის ხელშეწყობა

მოსაზრებები პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებთან დაკავშირებით:

- » წარმატებისთვის პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია ასევე საჭიროებს მტკიცე რეპუტაციას ქვეყანაში ისე რომ ორივე მხარემ მოიპოვოს სანდოობა თანამშრომლობიდან.
- » ტრენინგი და უფლებამოსილება აუცილებელია იმისათვის რომ შემფასებელთა გუნდებმა უზრუნველყონ ეფექტიანი და გადამწყვეტი რეაგირება.
- » რისკზე დამყარებულ მიდგომას შეუძლია აამაღლოს ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს „საკონტროლო ფურცლის აწროვნება“.
- » თუ ადგილი აქვს არსებით განსხვავებებს საუნივერსიტეტო კურსებს და პროფესიაში შესვლის მოთხოვნებს შორის, ვარიანტების დაკავშირება ან პროფესიული კურსების დამატება შეიძლება იყოს საჭირო (და არა უნივერსიტეტებისთვის ზედმეტი მოთხოვნების დაწესება).

აკრედიტაციის პროგრამის ხელშეწყობა



პოტენციური ფინანსური და სამართლებრივი გამოწვევები:

- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია საჭიროებს სამართლებრივ უფლებამოსილებას განათლების უნივერსიტეტებზე „დელეგირებისთვის“
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციამ შეიძლება დაკარგოს გამოცდიდან/კურსიდან შემოსავალი თუ ადგილი ექნება გამოცდებისგან გათავისუფლებას ან სწავლის შედეგების აღიარებას
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დაკარგული შემოსავლის სხვაგან გენერაციის შესაძლებლობა
- » საწევრო და მუდმივი პროფესიული განვითარების საფასური შეიძლება ხელს უწყობდეს განათლების და საგამოცდო პროგრამის სუბსიდირებას.
- » ზოგიერთ ქვეყანაში საფასურს განსაზღვრავს მარეგულირებელი და პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას შეიძლება არ ჰქონდეს კორექტირების უფლებამოსილება.

სასწავლო ამოცანები - გამოცდები

- » პროფესიული კომპეტენციის კონცეფციის განხილვა და კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენება
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დასაბუთება
- » გარკვევა თუ როგორია აკრედიტაციის ტიპური პროგრამები
- » აკრედიტაციის პროგრამების შემუშავების აღწერა
- » აკრედიტაციის ტიპური პროცესის შესწავლა
- » აკრედიტაციის პროგრამის მიმდინარე ტექნიკური მომსახურების და მდგრადობის აღწერა



გმადლობთ!!

კითხვები?
შენიშვნები?
გამოხმაურება?

აღფრედ ბორგონოვო
aborgonovo@worldbank.org

